ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 277

2 ივლისი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.003.201) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის" (ს/ნ 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.003.201) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის" (ს/ნ 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ივნისის №21.840.930 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.003.201) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „იბერკომპანისთვის" (ს/ნ 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 520 (ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე